საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 16 00907027

25/07/2016

ქ-ნ შორენა ლაღაძეს
ელ.ფოსტა:sh.lagadze@gmail.com

ქალბატონო შორენა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2016 წლის 15 ივლისის განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N882624; 19.07.2016) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების, ასევე „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ფიქსირდება:

- ქალაქ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 14 105 (თოთხმეტი ათას ასხუთი) მასწავლებელი და 179 588 (ასსამოცდაცხრამეტი ათას ხუთასოთხმოცდარვა) მოსწავლე;
- ქალაქ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - 2 407 (ორი ათას ოთხასშვიდი) მასწავლებელი და 26 879 (ოცდაექვსი ათას რვაასსამოცდაცხრამეტი) მოსწავლე;
- ქალაქ ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - 2 219 (ორი ათას ორასცხრამეტი) მასწავლებელი და 27 278 (ოცდაშვიდი ათას ორასსამოცდათვრამეტი) მოსწავლე;

ასევე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- ქალაქ თბილისში ფიქსირდება 144 297 სტუდენტი და 8571 პროფესორი;
- ქალაქ ბათუმში ფიქსირდება 9968 სტუდენტი და 719 პროფესორი;
- ქალაქ ქუთაისში ფისირდება 12054 სტუდენტი და 842 პროფესორი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ნინო გაბრიელაშვილი